ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6575859

ნომერი: AR1973072

თარიღი : 20.06.2023

გაცემის თარიღი : 21.07.2023

გაცნობის თარიღი : 22.07.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კოტე მაყაშვილის ქუჩა, N 1/მიხეილ ზანდუკელის ქუჩა N22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახა სოხაშვილი პ/ნ 01008039910
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძეს ქუჩა, N 17, ბინა 15

ორგანიზაცია:

- სონნეთ ქონსთრაქშენ კოდი: 404870412

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 14 ივნისის №6507261 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 20 ივნისს №AR1973072 განცხადებით მომართა კახა სოხაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 14 ივნისის №6507261 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 14 ივნისის №6507261 ბრძანებით მოწონებულ იქნა, №01.15.02.013.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა ძეგლზე სამუშაოების ნებართვა. ძეგლზე სამუშაოების ვადა განისაზღვრა 2023 წლის 14 ივნისიდან 2023 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 14 ივნისის №6507261 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ სურს დამხმარე ფართობად 28.750 კვ.მ-ის ნაცვლად 59.954 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 5255.754 კვ.მ-ის ნაცვლად 5286.958 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმა, განმარტებითი ბარათი და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, შეთანხმებული +20.050 ნიშნულის გეგმა და განმარტებითი ბარათი არ იცვლება, უბრალოდ ხდება მათზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 14 ივნისის №6507261 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 14 ივნისის №6507261 ბრძანებაში და:

1.1 სამსახურის 2023 წლის 14 ივნისის №6507261 ბრძანებით შეთანხმებული განმარტებითი ბარათი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი განმარტებითი ბარათით (ფაილის 1-ლი გვერდი)

1.2 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 14 ივნისის №6507261 ბრძანებით შეთანხმებული +20.050 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით (ფაილის მე-4 გვერდი)

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 14 ივნისის №6507261 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 14 ივნისის №6507261 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.